ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13.13221958**
თარიღი:**14/07/2022**

ქალაქ ახალციხეში, თამარაშვილის ქუჩის დასაწყისში არსებული გეოგრაფიული ობიექტისათვის-მოედნისათვის მეფე გიორგი V ბრწყინვალის სახელის მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე'' ქვეპუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის შესაბამისად,

1. ქალაქ ახალციხეში, თამარაშვილის ქუჩის დასაწყისში არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს-მოედანს ეწოდოს მეფე გიორგი V ბრწყინვალის სახელობის მოედანი.

2. განკარგულება, რეაგირებისათვის, გაეგზავნოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. განკარგულება, მიღებიდან 10 დღის ვადაში გაეგზავნოს:

ა) სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;

ბ) სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს;

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს;

დ) საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

4. განკარგულება მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოქვეყნდეს სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს'' ვებგვერდზე.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში(მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ.N60 ᵃ).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი